

### სკოპინგის დასკვნა N63

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: 220 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის და 220/35 კვ ძაბვის ქვესადგურის მშენებლობა და ექსპლუატაცია;

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: შპს „იტეკ მარნეული 100 მგტ“ (ს.ნ: 405746340);

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: მარნეულის მუნიციპალიტეტი;

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 15.09.2025;

მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენლის შესახებ: შპს „გარემოსდაცვითი შეფასების ჯგუფი“

#### ძირითადი საპროექტო მონაცემები:

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებული სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ - სააგენტო) შპს „იტეკ მარნეული 100 მგტ“-ის (შემდგომ - კომპანია) მიერ წარმოდგენილი იქნა დაგეგმილი საქმიანობის (მარნეულის მუნიციპალიტეტში, 220 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის და 220/35 კვ ძაბვის ქვესადგურის მშენებლობა და ექსპლუატაცია) სკოპინგის ანგარიში.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, მარნეულის მუნიციპალიტეტში დაგეგმილია 100 მგტ დადგმული სიმძლავრის მზის ელექტროსადგურის, 220/35 კვ ძაბვის ქვესადგურის და 220 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მოწყობა და ექსპლუატაცია.

საპროექტო მზის ელექტროსადგურისა და ქვესადგურის მოწყობა დაგეგმილია შპს „იტეკ მარნეული 100 მგტ“-ის საკუთრებაში არსებულ 160 ჰა ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 83.20.01.698), რომლის GPS კოორდინატებია: X-484436, Y-4597830; X-484720, Y-4598709; X-485741, Y-4598227; X-485599, Y-4596744 X-485392, Y-4596720. ხოლო საპროექტო 220 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი კვეთს სახელმწიფო და კერძო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებს. უახლოესი საცხოვრებელი სახლი საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან (მათ შორის, ქვესადგურიდან, სამშენებლო ბანაკიდან) დაახლოებით 3 კმ-ით არის დაშორებული, ხოლო საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის დერეფნიდან - 1700 მეტრით. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, მზის ელექტროსადგურის განთავსების ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 100 მეტრში, ხოლო ქვესადგურის განთავსების არეალიდან დაახლოებით 962 მეტრში მდებარეობს ცხვისა და საქონლის ფერმა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორია კვეთს სხვადასხვა ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზებს, გაზსადენს, საკომუნიკაციო კაბელებს, მილსადენს. რაც შეეხება ზედაპირული წლის ობიექტებს, ელექტროგადამცემი ხაზის დერეფანი გადაკვეთს მდინარე აგბურუნს.

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატივების ანალიზი. მათ შორის, განხილულია უმოქმედობის (ნულოვანი), მზის ელექტროსადგურის, ქვესადგურის და ელექტროგადამცემი ხაზის განთავსების ალტერნატივები. ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიების შერჩევა გარემოსდაცვითი და ტექნიკურ-ეკონომიკური საკითხების გათვალისწინებით განხორციელდა.

მზის ელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრე 100 მგვტ იქნება. პროექტის ფარგლებში, ჯამურად განთავსდება 191828 ცალი მზის პანელი. საყრდენები დამზადდება თუთიით დაფარული ფოლადისგან. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, მზის ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის მიღება მოხდება საპროექტო 220/35 კვ ძაბვის ქვესადგურში.

საპროექტო ქვესადგურის განთავსება დაგეგმილია შპს „იტეკ მარნეული 100 მგვტ“-ის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნაწილზე (8580.1 მ<sup>2</sup> ფართობი). ქვესადგურის განთავსების ტერიტორიის მიახლოებითი GPS კოორდინატებია: X-485405, Y-4596847; X-485483, Y-4596855; X-485495, Y-4596746; X-485417, Y-4596737. საპროექტო ქვესადგურში გათვალისწინებულია 220/35 კვ ძაბვის 2 კომპლექტი, 63 მვა სიმძლავრის ტრანსფორმატორის მოწყობა. თითოეული ტრანსფორმატორისთვის მოეწყობა რკინა-ბეტონის საძირკველი, რომელშიც განთავსებული ზეთმიმღები ავზი 200 მმ-იანი ფოლადის მილით დაუკავშირდება ზეთმიმკრებ რეზერვუარს. ანგარიშის თანახმად, ქვესადგურში მოეწყობა 35 კვ ძაბვის 2 ცალი სტატიკური კომპენსატორები (STATCOM). ქვესადგურის საკუთარი მოხმარების უზრუნველსაყოფად განსაზღვრულია 2 ცალი 800/35-315/0.4 kV ტიპის ზიგზაგური ტრანსფორმატორის დამონტაჟება, ხოლო ავარიულ რეჟიმში სტაბილურობას უზრუნველყოფს 200 კვა დიზელგენერატორი. ქვესადგურის ტერიტორიაზე მოეწყობა დამცავი დამიწების სისტემა, გარე განათების ქსელი და ტერიტორია უსაფრთხოების მიზნით შემოიღობება.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, მზის ელექტროსადგურის დაკავშირება შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ „მარნეული-500“-ის 220 კვ ძაბვის ღია გამანაწილებელ მოწყობილობასთან (არსებული „მარნეული-220“ ქვესადგურის მხარეს) მოხდება საპროექტო 220 კვ ძაბვის ერთჯაჭვიანი საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზით (ეგხ). საპროექტო ეგხ-ის ტრასის სიგრძე 2805.33 მეტრს შეადგენს. საპროექტო მონაკვეთზე დაგეგმილია 13 ერთეული ფოლადის მოთუთიებული საყრდენის მონტაჟი. ანძების განთავსების მიახლოებითი GPS კოორდინატებია: 1) X-485467, Y-4596724; 2) X-485619, Y-4596390; 3) X-485774, Y-4596187; 4) X-485934, Y-4595977; 5) X-486126, Y-4595726; 6) X-486308, Y-4595487; 7) X-486465, Y-4595281; 8) X-486432, Y-4595087; 9) X-486568, Y-4594903; 10) X-486533, Y-4594716; 11) X-486426, Y-4594623; 12) X-486465, Y-4594530; 13) X-486407, Y-4594444.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოები (მზის ელექტროსადგურის, ქვესადგურის და საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მოწყობა) გაგრძელდება ერთ წლის განმავლობაში. მშენებლობის ეტაპზე დასაქმდება დაახლოებით 22, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე - 8 ადამიანი.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია სამშენებლო ბანაკის მოწყობა შპს „იტეკ მარნეული 100 მვტ“-ის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ: 83.20.01.698) 5062.42 მ<sup>2</sup> ფართობზე. სამშენებლო ბანაკში გათვალისწინებულია შემდეგი ინფრასტრუქტურის განთავსება: ტექნიკის გასაჩერებელი და სარემონტო ადგილები; სასაწყობე კონტეინერი; საწყობი; ოფისი; წყლის ავზი; აალებადი ინვენტარისთვის ფარდული; სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების განთავსების ადგილი; დაცვის ჯიხური.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიამდე მისასვლელად გამოყენებული იქნება არსებული გრუნტის საავტომობილო გზა. შესაბამისად, ახალი მისასვლელი გზების მოწყობა გათვალისწინებული არ არის. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საჭიროების შემთხვევაში, არსებული გრუნტის გზა მოშანდაკდება.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისას წყლის გამოყენება დაგეგმილია სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით, მზის პანელების გასაწმენდად და გზების დასანამად. სასმელი წყალი ბუტილირებული სახით იქნება შეტანილი. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ვინაიდან მშენებლობისთვის საჭირო კონსტრუქციები და მასალა შემოტანილი იქნება მზა სახით, ტექნიკური დანიშნულებით წყლის გამოყენება გათვალისწინებული არ არის. შესაბამისად, საქმიანობის ფარგლებში საწარმოო-ჩამდინარე წყლების წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის. ქვესადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლები ღია ტიპის არხებით შეიკრიბება ტრანშეაში/ორმოში და საჭიროების შემთხვევაში გამოყენებული იქნება გზების დასანამად. სამეურნეო-ფეკალური წყლების შეგროვებისთვის მოეწყობა 2 მ<sup>3</sup> მოცულობის ჰერმეტიკული, მიწისქვეშა ბეტონის საასენიზაციო ორმო, რომლის დაცლა მოხდება უახლოეს საკანალიზაციო კოლექტორში, ხელშეკრულების საფუძველზე. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ექსპლუატაციის ეტაპზე მზის პანელების წმენდისას გამოყენებული წყალი ჩაედინება გრუნტში ან/და შეიკრიბება სანიაღვრე სისტემაში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ძალოვანი ტრანსფორმატორის საძირკველის, ზეთმიმღების და ზეთშემკრების პარამეტრების და მოცულობის გათვალისწინებით, ავარიული დაღვრის შემთხვევაში გრუნტის წყლების დაბინძურება მოსალოდნელი არ არის.

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ზოგადი ინფორმაცია გარემოზე შესაძლო ზემოქმედების სახეებისა და იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, მზის ელექტროსადგურის, ქვესადგურის და ეგხ-ის განთავსების ტერიტორიების შესწავლის მიზნით განხორციელდა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები. საველე პირობებში გაყვანილი იქნა 5 მ სიღრმის 37 შურფი. საკვლევ ტერიტორიაზე გამოყოფილი იქნა ერთი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (სგე 1 - თიხა). სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი გეოდინამიკური მოვლენების არსებობა არ ფიქსირდება, თუმცა მზის ელექტროსადგურის მიმდებარედ შეინიშნება მცირე ეროზიული პროცესები. მზის სადგურის მოწყობა ითვალისწინებს მცირე მიწის სამუშაოებს, რომლის ფარგლებში ღრმა საძირკვლების მოწყობა გათვალისწინებული არ არის. ანგარიშის თანახმად, მოსალოდნელი ზემოქმედების შემცირების მიზნით გათვალისწინებულია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარება (მათ შორის, დაზიანებული უბნების რეკულტივაცია).

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საპროექტო საჰაერო ეგხ-ის დერეფანი კვეთს მდ. აგბურუნს, რომელიც თოვლის დნობისა და წვიმის შედეგად ივსება, თუმცა არ გააჩნია მუდმივი ნაკადი. ანგარიშის თანახმად, უახლოესი საყრდენი ანძა (N7 საყრდენი) მდინარის კალაპოტიდან 70 მ-ის დაშორებით განთავსდება. შესაბამისად, სამშენებლო სამუშაოები მდინარის კალაპოტთან ახლოს არ იწარმოება.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ნიადაგის/გრუნტის და გრუნტის წყლების დაბინძურება შესაძლებელია გამოიწვიოს ტექნიკის/სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებამ და ნარჩენების არასწორად მართვამ, საწვავი/საპოხი მასალების დაღვრამ და სამშენებლო მასალების შენახვის წესების დარღვევამ. პროექტის ფარგლებში ნიადაგის ნაყოფიერი ფენა მოიხსნება ქვესადგურის განთავსების არეალში (8580.1 მ<sup>2</sup> ფართობზე), საპროექტო ეგხ-ის საყრდენების პოლიგონის არეალში (ჯამში - 1368.66 მ<sup>2</sup> ფართობზე) და სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე (5062.42 მ<sup>2</sup> ფართობზე). საპროექტო ტერიტორიიდან, ჯამში, 4503.354 მ<sup>3</sup> მოცულობის ნაყოფიერი ფენა მოიხსნება. მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა დასაწყობდება საპროექტო ქვესადგურის მიმდებარედ (მიახლოებითი GPS კოორდინატებია: X-485517, Y-4596811; X-485562, Y-4596809; X-485515, Y-4596761; X-485560, Y-4596759), ხოლო შემდგომ გამოყენებული იქნება რეკულტივაციისთვის. უშუალოდ მზის სადგურის არეალში მასშტაბური მიწის სამუშაოები დაგეგმილი არ არის. შესაბამისად, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა არ არის გათვალისწინებული. მშენებლობის პროცესში, საძირკვლების და ტრანშეის მოწყობის დროს ამოღებული გრუნტი დროებით განთავსდება სამუშაო მოედნის პერიმეტრზე, ტრანშეის გვერდით, რომელიც სრულად გამოყენებული იქნება უკუყრილების სახით და სარეკულტივაციო სამუშაოებისთვის.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, მშენებლობის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება და ხმაურის წარმოქმნა ძირითადად სამშენებლო სამუშაოების შესრულების პროცესთან იქნება დაკავშირებული. წარმოდგენილი ინფორმაციით, პროექტის ფარგლებში წარმოქმნილი ხმაური და ვიბრაცია, ასევე ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება იქნება დროებითი და

ლოკალური ხასიათის. ამასთან, სამშენებლო უბნებსა და უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე დაშორების მანძილის გათვალისწინებით, ხმაურის გავრცელებითა და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევით გამოწვეული მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. საქმიანობის პროფილიდან გამომდინარე, ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევას ადგილი არ ექნება.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე წლების განმავლობაში მიმდინარეობდა ანთროპოგენური ზემოქმედება და აქტიურად გამოიყენებოდა საძოვრებად. შესაბამისად, ტერიტორიაზე მრავალწლოვანი ხე-მცენარეული საფარი წარმოდგენილი არ არის. წარმოდგენილი ინფორმაციით, საპროექტო არეალში გავრცელებულია საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული მცენარის - შობერის ნიტრარიას (*Nitraria schoberi*) დომინირებით შექმნილი მცირე დაჯგუფებები.

საპროექტო ტერიტორია არ ხვდება საქართველოს დაცული ტერიტორიებისა და ზურმუხტის ქსელის საიტების საზღვრებში. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო არეალი არ გამოირჩევა ფაუნის მრავალფეროვნებით. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ დაფიქსირებული იქნა საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული შემდეგი სახეობები: ხმელთაშუაზღვეთის კუ (*Testudo graeca*), ველის კაკაჩა (*Buteo rufinus*) და ფასკუნჯი (*Neophron percnopterus*). გარდა ამისა, ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის შემოგარენში შეიძლება შეგვხვდეს დასავლური მახრჩობელა (*Eryx jaculus*). მზის პანელების ზედაპირების ამრეკლი თავისებურებების გამო, ექსპლუატაციის ეტაპზე არსებობს ფრინველთა შეჯახების რისკი, ე.წ. „ტბის ეფექტის“ წარმოქმნიდან გამომდინარე. ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებების შემცირების მიზნით დაგეგმილია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარება, რომლებიც დაზუსტებული იქნება გზშ-ის ეტაპზე.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, პროექტის ფარგლებში მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო, ინერტული და სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. ექსპლუატაციის ეტაპზე დიდი რაოდენობით ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის. მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით განხორციელდება. გზშ-ის ეტაპზე შემუშავდება მოსალოდნელი ნარჩენების მართვის გეგმა.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ განთავსებულია არსებული ქვესადგური - „მარნეული 500“ და საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზები. ამასთან, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ იგეგმება სხვადასხვა სიმძლავრის მზის ელ. სადგურების, ეგხ-ების და ქვესადგურების მოწყობა. მზის ელექტროსადგურის ტერიტორიიდან დაახლოებით 1.7 კმ-ში იგეგმება შპს „ენერჯი სოლუმენს 2“-ის, ხოლო დაახლოებით 1.9 კმ-ში - შპს „ქართლი ჯენერეიშენის“ მზის ელექტროსადგურების, ქვესადგურებისა და ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა-ექსპლუატაცია. გარდა ამისა,

საპროექტო ეგზ-ის ბუფერი კვეთს შპს „ინტერნეიშენალ ტრანს ენერჯი კომპანიის“ საპროექტო ეგზ-ის ბუფერს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელია როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპებზე.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ვიზუალური დაკვირვების შედეგად საპროექტო ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების არსებობა არ ფიქსირდება, რაც დასტურდება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2025 წლის 24 სექტემბრის N17/3344 წერილით.

სკოპინგის ანგარიშის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სააგენტომ უზრუნველყო სკოპინგის ანგარიშისა და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელება. მათ შორის, ინფორმაცია განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე და ფეისბუქგვერდზე. ასევე, ინფორმაცია მატერიალური სახით გამოქვეყნდა დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის მიმდებარე საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ორგანოს საინფორმაციო დაფასა და ბეჭდურ მედიაში.

სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2025 წლის 6 ოქტომბერს, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, შპს „იტეკ მარნეული 100 მვტ“-ის, გარემოსდაცვითი საკონსულტაციო კომპანია - შპს „გარემოსდაცვითი შეფასების ჯგუფის“ და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები. დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით საჯარო განხილვაზე კითხვა დაისვა მზის პანელების მწარმოებელ ქვეყანასთან დაკავშირებით, რაზეც შპს „იტეკ მარნეული 100 მვტ“-ის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათი შემოტანა დაგეგმილია ჩინეთიდან. საჯარო განხილვებზე გამოთქმული შენიშვნები/მოსაზრებები და შესაბამისი პასუხები/განმარტებები საჯარო განხილვის ოქმში აისახა.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით სააგენტოში წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები არ წარმოდგენილა.

სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ იდენტიფიცირდა, დაგეგმილი საქმიანობიდან გამომდინარე, გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. განისაზღვრა და დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათალი. ასევე, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედების საკითხები.

**გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:**

1. გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
3. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;
4. გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ (გზშ-ის ანგარიშის მომზადების პროცესში მონაწილეთა სიაში, მითითებული უნდა იქნეს კონკრეტულად ტექსტის რომელი ნაწილი/ქვეთავი იქნა მომზადებული თითოეული ექსპერტის მიერ).

5. გზშ-ის ანგარიშში ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:

- დაგეგმილი საქმიანობის დეტალური აღწერა-დახასიათება;
- დაგეგმილი საქმიანობის საჭიროების დასაბუთება (გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონვის საფუძველზე);
- ინფორმაცია გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატიული ვარიანტების შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით. მათ შორის, არაქმედების (ნულოვანი), ტექნიკური პარამეტრების ალტერნატივების, ქვესადგურის, მზის სადგურის, ელექტროგადამცემი ხაზის ტიპის და განთავსების ალტერნატივების ანალიზი და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების აღწერა-დასაბუთება. გზშ-ის ანგარიშის შესაბამის ქვეთავში უნდა დასაბუთდეს საპროექტო ინფრასტრუქტურული ობიექტების განთავსების ალტერნატივებიდან შერჩეული ადგილმდებარეობის გარემოსდაცვითი, სოციალურ-ეკონომიკური და ტექნიკური უპირატესობები;
- საპროექტო ტერიტორიის დეტალური აღწერა/გარემო პირობების დახასიათება. მათ შორის, მზის სადგურის, ეგხ-ის და ქვესადგურის განთავსების ადგილების დეტალური აღწერა, საკადასტრო კოდების, ფართობების, GPS კოორდინატების მითითებით, პროექტის ერთიან Shp ფაილებთან (მათ შორის, პოლიგონური) ერთად;
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის ერთიანი გენერალური გეგმა, მაღალი გარჩევადობით და შესაბამისი ექსპლიკაციით, სადაც დატანილი იქნება ყველა საპროექტო ინფრასტრუქტურული ობიექტი, მათ შორის, საპროექტო ქვესადგური და ელექტროგადამცემი ხაზი, მისასვლელი გზები და სხვ.;
- საპროექტო ინფრასტრუქტურიდან (მათ შორის, ეგხ-ის დერეფნიდან და დაცვითი ზონიდან) დაზუსტებული მანძილები უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე/სახლამდე

და ზედაპირულ წყლის ობიექტამდე, გენ-გეგმაზე კონკრეტული მანძილების მითითებით;

- საპროექტო ქვესადგურის და ელექტროგადამცემი ხაზის ძირითადი ტექნიკური პარამეტრებისა და ფიზიკური მახასიათებლების ცხრილი, მათ შორის, ეგხ-ის განთავსების ტექნიკური პირობების შესახებ (საყრდენი ანძების კონსტრუქციებისა და სადენების ტიპები, საყრდენების დამონტაჟების პირობები და დამიწების კონტურის მოწყობა);
- მზის ელექტროსადგურის ფუნქციონირების ტექნოლოგიური სქემის თანმიმდევრული აღწერა, მზის ელექტროსადგურის სიმძლავრისა და გამომუშავებული ელექტროენერჯის შესახებ ინფორმაციის მითითებით;
- ინფორმაცია მზის ელექტროსადგურში გამომუშავებული ენერჯის შეკრებისა და საპროექტო ელექტროგადამცემ ხაზთან დაკავშირების შესახებ (ტრანსფორმატორების, ქვესადგურ(ებ)ისა და მზის პანელების ერთმანეთთან დამაკავშირებელი ელექტროგადამცემი ხაზ(ებ)ის აღწერით);
- დეტალური ინფორმაცია საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის ელექტრომომარაგების ქსელთან დაკავშირების შესახებ, შესაბამისი ტექნიკური პირობების მითითებით;
- ინფორმაცია საპროექტო საჰაერო ეგხ-ის ტექნიკური პარამეტრებისა და პირობების შესახებ (სიგრძე, საყრდენი ანძების რაოდენობა, საძირკვლების პარამეტრები და სხვ.);
- ინფორმაცია მზის ელექტროსადგურის შემადგენელი ინფრასტრუქტურული ობიექტების შესახებ, მათ შორის:
  - მზის პანელების ტიპის, რაოდენობის, მიწის ზედაპირიდან განთავსების სიმაღლის და ა.შ. შესახებ;
  - ქსელის ინვერტორების და მონიტორინგის სისტემის, ცვლადი და მუდმივი დენის საკაბელო ხაზების (მაბვისა და განთავსების პირობების მითითებით), დამიწების სისტემის და მეხამრიდის შესახებ;
  - მზის პანელების განსათავსებლად განსაზღვრული ბუფერის (სქემატურ რუკაზე მონიშნით და შესაბამისი Shp ფაილებით), მისი ფართობისა და ბუფერში მოქმედი შეზღუდვების (არსებობის შემთხვევაში) შესახებ;
  - მზის ელექტროსადგურის ძირითადი ტექნიკური პარამეტრებისა და მახასიათებლების ცხრილი/პროექტის განმარტებითი ბარათი ყველა შემადგენელი ნაგებობის აღწერით;
- ინფორმაცია ქვესადგურის ტერიტორიაზე სატრანსფორმატორო ზეთის დაღვრის პრევენციის მიზნით გათვალისწინებული ზეთმიმღები/ზეთშემკრები სისტემის შესახებ (პარამეტრების მითითებით);
- დეტალური ინფორმაცია მიწისქვეშა ან/და მიწისზედა ობიექტების და კერძო საკუთრებების გადაკვეთის შესახებ. ასევე, წარმოდგენილი უნდა იყოს კერძო მესაკუთრებთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

- ინფორმაცია ელექტროგადამცემი ხაზის დაცვითი ზონების და შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დაცვის შესახებ. მათ შორის, ინფორმაცია საპროექტო ბუფერის შესახებ (სქემატურ რუკაზე ასახვით), მისი ფართობისა და ბუფერულ ზონაში მოქმედი შეზღუდვების შესახებ;
- ეგხ-ის სქემა/სიტუაციური რუკა (შემადგენელი ინფრასტრუქტურული ობიექტების მითითებით), შესაბამისი ექსპლიკაციით;
- ინფორმაცია ფიზიკური/ეკონომიკური განსახლების შესახებ (არსებობის შემთხვევაში);
- ინფორმაცია პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი ავარიული სიტუაციების შესახებ, მართვის (მათ შორის, ხანძარსაწინააღმდეგო) ღონისძიებების მითითებით;
- ინფორმაცია მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური წყალმომარაგების, ასევე სანიაღვრე (სანიაღვრე და სადრენაჟე სისტემის დახასიათებით და სქემატურ ნახაზზე/shp ფაილებზე ასახვით) და წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური წყლების მართვის შესახებ;
- ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიამდე (მათ შორის, საპროექტო ანძებამდე) მისასვლელი გზების, ასევე, ახალი მისასვლელი გზების მოწყობის ან/და არსებულის გაფართოება/რეაბილიტაციის შესახებ. ახალი მისასვლელი გზების მოწყობის ან/და არსებული გზების გაფართოება/რეაბილიტაციის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია გზების პარამეტრებისა და მოწყობის სქემის მითითებით (შესაბამისი სქემატური ნახაზებითა და shp ფაილებით (მათ შორის, პოლიგონური)). ასევე შეფასებული უნდა იქნეს გზების მოწყობით/რეაბილიტაციით გამოწვეული ზემოქმედება გარემოს კომპონენტებზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე;
- ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს (განსაკუთრებით 500-მ რადიუსის საზღვრებში) არსებული ნებისმიერი ტიპის (მათ შორის, ანალოგიური) ობიექტ(ებ)ის შესახებ (მანძილების და საქმიანობის მითითებით);
- გამოწვეული ზემოქმედება გარემოს კომპონენტებზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე;
- მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპებზე დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, მათ შორის, დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილი;
- ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/სადიებო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ;
- ზემოქმედების არეალში არსებული საპროექტო მიწის ნაკვეთების საკუთრების ან/და სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ინფორმაცია საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში, საპროექტო ტერიტორიის პირვანდელ (საქმიანობის დაწყებამდე) მდგომარეობამდე აღდგენის ღონისძიებების შესახებ.

**5.1. ინფორმაცია პროექტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოების, მათ შორის, ბანაკის/ბანაკების და სანაყაროს/სანაყაროების შესახებ, კერძოდ:**

- დეტალური ინფორმაცია სამშენებლო სამუშაოების შესახებ, შესაბამისი გეგმა-გრაფიკის და ვადების მითითებით;
- მშენებლობაში გამოყენებული ტექნიკის შესახებ;
- ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის და სარეკულტივაციო სამუშაოების შესახებ („ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვით) ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობის, მისი განთავსების პირობებისა და ადგილმდებარეობების (GPS კოორდინატები, Shp ფაილები) მითითებით;
- სამშენებლო ბანაკისთვის/მოედნისთვის შერჩეული ტერიტორი(ებ)ის დეტალური აღწერა-დახასიათება, GPS კოორდინატების და shp ფაილების მითითებით. მათ შორის, სამშენებლო ბანაკის/მოედნის გენ-გეგმა, შესაბამისი ექსპლიკაციით;
- სამშენებლო ბანაკზე/მოედანზე (არსებობის შემთხვევაში) საწვავის შესანახი რეზერვუარის ტიპის, ტევადობისა და განთავსების პირობების შესახებ;
- მშენებლობის პროცესში წარმოსაქმნელი ფუჭი ქანების რაოდენობისა და მართვის შესახებ, ფუჭი ქანების განთავსების ადგილების/სანაყაროების (GPS კოორდინატები, Shp ფაილებთან ერთად) მითითებით;
- სანაყაროებისთვის ტერიტორიის შერჩევისას (საჭიროების შემთხვევაში) გათვალისწინებული უნდა იქნეს ასევე მოქმედი კანონმდებლობა, რომელიც სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე სანაყაროს მოწყობას არ ითვალისწინებს.

## **5.2. გზშ-ის ანგარიშის გეოლოგიური ნაწილი უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:**

### **გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერა:**

- რელიეფი (გეომორფოლოგია);
- გეოლოგიური აგებულება და ტექტონიკა;
- სეისმური პირობები;
- ჰიდროგეოლოგიური პირობები;
- საინჟინრო-გეოლოგიური (გეოტექნიკური) პირობების აღწერა (პიკეტური აღწერა, რომელიც თავის მხრივ უნდა მოიცავდეს ტერიტორიაზე არსებული საშიში გეოლოგიური პროცესების შეფასებასაც).

### **გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება:**

- საშიში გეოლოგიური პროცესების შესაძლო გააქტიურების განსაზღვრა საპროექტო ობიექტის მშენებლობა-ექსპლუატაციის პერიოდში, პრევენციული ღონისძიებების მითითებით (იდენტიფიცირებული პროცესები მოცემული უნდა იყოს კოორდინატებში).

## **5.3 ბიომრავალფეროვნების შეფასების ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი საკითხები:**

- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, გზშ-ის ეტაპზე საპროექტო ტერიტორიის არეალში განხორციელდება ზოოლოგიური ბოტანიკური კვლევა. აღნიშნული კვლევის შედეგები ასახული უნდა იქნას გზშ-ის ანგარიშში. კვლევის ფარგლებში ყურადღება უნდა გამახვილდეს უშუალოდ პროექტის გავლენის ზონაში არსებულ მცენარეებზე, ცხოველებზე, მათ შორის, ორნითოფაუნაზე (განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცულ სახეობებზე და ჰაბიტატებზე), მათზე შესაძლო ზემოქმედებაზე, ამ ზემოქმედების თავიდან აცილებაზე და საჭიროების შემთხვევაში - საკომპენსაციო ღონისძიებებზე;
- ვინაიდან ექსპლუატაციის ეტაპზე ცხოველებზე უმთავრეს ნეგატიურ ზემოქმედებას ეგზ-ის ანძებთან ფრინველებისა და ღამურების შეჯახება წარმოადგენს (ასევე ე.წ „ტბის ეფექტის“ წარმოქმნის გამო, მზის პანელებთან ფრინველთა შეჯახება), გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სრულფასოვანი ინფორმაცია ფრინველებზე ზემოქმედების თავიდან აცილების და შემარბილებელ ღონისძიებებზე. ზემოაღნიშნული კვლევების შედეგების საფუძველზე, განსაზღვრული უნდა იყოს მოსალოდნელი ზემოქმედების სახეები და მასშტაბი, რის შემდეგაც უნდა შემუშავდეს ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის გეგმა, სადაც სამონიტორინგო დაკვირვებები მოცემული იქნება ბიომრავალფეროვნების ცალკეული კომპონენტისთვის. ასევე, გეგმაში უნდა აისახოს შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტიანობაზე დაკვირვების საკითხი, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელების მიზნით. ამასთან, გეგმა უნდა მოიცავდეს მონიტორინგის ჩატარების სიხშირის, ვადის/ხანგრძლივობის და სააგენტოსთან ანგარიშგების საკითხებს;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სრულფასოვანი ინფორმაცია კუმულაციურ ზემოქმედებაზე როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპზე. განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ იგეგმება სხვადასხვა სიმძლავრის მზის ელ.სადგურების, ეგზ-ების და ქვესადგურების მოწყობა, რაც დაკავშირებულია ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედებასთან. კუმულაციურ ზემოქმედებაზე დაკვირვების საკითხი ასევე უნდა აისახოს მონიტორინგის გეგმაში;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ერთ-ერთ შემარბილებელ ღონისძიებად განხილულია ე.წ. „bird diverters“-ის დამონტაჟება. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია ზემოაღნიშნული შემარბილებელი ღონისძიების (ე.წ. „bird diverters“) ეფექტიანობაზე დაკვირვების საკითხი, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელების მიზნით.

**6. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისთვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედებების შეჯამება, მათ შორის:**

- ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, მათ შორის, სამშენებლო ტექნიკისა და სამშენებლო მასალების დამამზადებელი ობიექტის (მოწყობის შემთხვევაში) მუშაობისას წარმოქმნილი ემისიები, გაბნევის ანგარიშის მითითებით. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი/პრევენციული ღონისძიებები და მონიტორინგის საკითხები;
- პროექტის ფარგლებში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს არსებობის/მოწყობის შემთხვევაში გზშ-ის ანგარიშს თან უნდა ახლდეს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით. ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს ხმაურის გავრცელების მოდელირება;
- მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- გეოლოგიურ და ჰიდროგეოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება, პრევენციული ღონისძიებების მითითებით;
- ელექტრომაგნიტური ველების გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე. საჭიროების შემთხვევაში, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე ზედაპირული წყლის ობიექტზე მოსალოდნელი ზემოქმედება და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება მიწისქვეშა და გრუნტის წყლებზე. დაბინძურების რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ინფორმაცია მახამრიდი სისტემის შესახებ (არსებობის შემთხვევაში);
- მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე ნარჩენების გავრცელების მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება. ინფორმაცია წარმოქმნილი ნარჩენების (კოდი, დასახელება, რაოდენობა) და მათი შემდგომი მართვის შესახებ, „ნარჩენების მართვის კოდექსისა“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;
- შესაძლო პირდაპირი ან/და არაპირდაპირი ზემოქმედების შეფასება ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე, მოსალოდნელი ზემოქმედების აღწერა და შედეგების შესწავლა, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;

- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, მიწის საკუთრებასა და გამოყენებაზე (წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია საპროექტო არეალში ზემოქმედებას დაქვემდებარებული (მ.შ. არსებობის შემთხვევაში, ქვესადგურისა და ეგზ-ის დაცვის ზონაში/ბუფერში მოქცეული) მიწის ნაკვეთებისა და მათი მესაკუთრეების ინფორმირების/შეთანხმების შესახებ). ასევე, ბუნებრივი რესურსების შეზღუდვაზე (მ.შ. საძოვრებზე) ზემოქმედება. ამასთან, უნდა განისაზღვროს ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები, მოსალოდნელი სავარაუდო ზიანი და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- სატრანსპორტო გადაზიდვებით/სამშენებლო ტრანსპორტის გადაადგილებით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების (მარშრუტებისა და სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობის მითითებით) შეფასება, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით. ზემოაღნიშნული ფაქტორებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს საკვლევ რეგიონში არსებული და დაგეგმილი პროექტები;
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შეფასება გავლენის ზონაში არსებული და დაგეგმილი საქმიანობების გათვალისწინებით. მათ შორის, ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების ამსახველი დეტალური ინფორმაცია (განსაკუთრებით ორნითოფაუნაზე ზემოქმედების ჭრილში), სათანადო პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- გარემოზე შეუქცევადი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება;
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების აღწერა, რომელიც განპირობებულია ავარიისა და კატასტროფის რისკების მიმართ საქმიანობის მოწყვლადობით;
- მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპისთვის შემუშავებული შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი;
- მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე განსახორციელებელი გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა (შესაბამისი საკონტროლო წერტილების მონიტორინგის სიხშირისა და მეთოდის მითითებით);
- ინფორმაცია პროექტთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებისა და პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სოციალური პაკეტების შესახებ (არსებობის შემთხვევაში). ასევე, წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია სკოპინგის ეტაპზე, საჯარო განხილვებზე გამოთქმული მოსაზრებების/შენიშვნების შეფასების და აღნიშნული კუთხით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ;
- გზშ-ის ეტაპზე, დოკუმენტის მომზადებისას გამოყენებული ლიტერატურის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამის ქვეთავში (მაგ. ბიბლიოგრაფია, გამოყენებული ლიტერატურა), სადაც მითითებული იქნება ინფორმაციის გავრცელების წყარო, ელ. ბმული, ან/და წიგნის/ნაშრომის/სტატიის ავტორის,

გამოცემის წელი, წიგნის/სტატიის დასახელება და ინფორმაცია გამოყენებული გვერდების შესახებ.

## **7. საკითხები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:**

- სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა (გეს) „საქრუსენერგოს“ ცნობით, საპროექტო 220 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის არეალში არსებული 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზების - „ასურეთისა“ და „ვარძიას“ მომსახურე პერსონალის (მათ შორის, საპროექტო 220 კვ ეგხ-ს მომსახურე პერსონალის) სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია საპროექტო ეგხ-ის მიმართულების ცვლილება ისე, რომ ორივე 500 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი გადაიკვეთოს ერთ წრფეზე. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი გათვალისწინებული უნდა იყოს გზშ-ის ანგარიშის წარმოდგენამდე, ხოლო ანგარიშს თან უნდა ახლდეს სს გეს „საქრუსენერგოსთან“ შეთანხმების (მ.შ. კომუნიკაციის) ამსახველი დოკუმენტაცია;
- ვინაიდან საპროექტო ტერიტორია კვეთს და ასევე პარალელურად მიუყვება სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ საკუთრებაში არსებულ ელექტროგადამცემ ხაზებს („მარნეული-220“, „ლომთაგორა 1-2“, „კოდა 1-2“, „ვარძია“), გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნეს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასთან“ შეთანხმების (მ.შ. კომუნიკაციის) დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიაზე მდებარეობს მცირე ზომის ტბორი, რომლის შესახებ ინფორმაცია სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი არ არის. შესაბამისად, აღნიშნული ტბორისა და მასზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია დაზუსტებას საჭიროებს;
- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „პროექტი ითვალისწინებს მიწისზედა მზის ელექტროსადგურის მშენებლობას, რომლის საპროექტო სიმძლავრე იქნება 140 მგვტ (DC)/ 100 მგვტ (AC). მზის სადგურის პროექტით გათვალისწინებული ელექტროენერჯის წლიური გამომუშავება შეადგენს 1467 კვტ/სთ-ს.“ შესაბამისად, მზის ელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრისა და წლიურად გამომუშავებული ენერჯის შესახებ ინფორმაცია დაზუსტებას/განმარტებას საჭიროებს;
- სკოპინგის ანგარიშში მოცემული N12 საყრდენის კოორდინატი არ ემთხვევა Shp ფაილს, რაც გზშ-ის ეტაპზე დაზუსტებას/კორექტირებას საჭიროებს;
- სკოპინგის ანგარიშში მოხსენიებულია სიტუაციური სქემა 1.1.2, რომელიც წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ იძებნება;
- ქვეთავში 1.1 აღნიშნულია, რომ „საპროექტო ქვესადგურში პროექტით გათვალისწინებულია 2 კომპლექტი, 63 მვა სიმძლავრის ტრანსფორმატორის მოწყობა“, ხოლო 2.3 ქვეთავში მითითებულია, რომ „საპროექტო ქვესადგურში პროექტით გათვალისწინებულია 220/35 კვ ძაბვის 2 კომპლექტი 63 მგვა სიმძლავრის ტრანსფორმატორის მოწყობა.“ ანგარიშის სხვადასხვა გვერდებზე მოცემული

ინფორმაცია შესაბამისობაში უნდა იყოს ერთმანეთთან, ხოლო გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს გამოყენებული აბრევიატურების განმარტებები (ცხრილის სახით);

- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, პროექტის ფარგლებში ნიადაგის ნაყოფიერი ფენა მოიხსნება ქვესადგურის განთავსების, საპროექტო ეგზ-ის საყრდენების პოლიგონის არეალში და სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე. ამასთან აღნიშნულია, რომ უშუალოდ მზის სადგურის არეალში ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა გათვალისწინებული არ არის. გზშ-ის ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებს მზის ელექტროსადგურის მოწყობის ფარგლებში (მათ შორის, პანელების მონტაჟი, დამაკავშირებელი კაბელის გაყვანა და სხვ.) ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე მოსალოდნელი ზემოქმედების საკითხი (მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის რაოდენობისა და შემდგომი მართვის საკითხების მითითებით);
- საპროექტო არეალი მოიცავს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მხედველობაშია მისაღები, რომ „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების გარეშე მისი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება დაუშვებელია;
- წარმოდგენილი ალტერნატივები არ ასახავს გარემოზე ზემოქმედების თავიდან აცილების ან/და შემსუბუქების რეალურ შესაძლებლობებს. მათ შორის:
  - ქვეთავში 3.2.2 ქვესადგურის განთავსების ალტერნატიულ ტერიტორიად განხილულია შერჩეული საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ: 83.20.01.699) და აღნიშნულია, რომ „ალტერნატივის შერჩევის შემთხვევაში საჭირო იქნებოდა დამატებით მისასვლელი გზების მოწყობა, რაც თავის მხრივ ზრდის გარემო პირობებზე ზემოქმედებას.“ ამასთან, სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიამდე მისასვლელად გამოიყენება არსებული გრუნტის საავტომობილო გზა. შესაბამისად, დამატებით მისასვლელი გზების მოწყობა გათვალისწინებული არ არის. ვინაიდან ქვესადგურის განთავსების შერჩეული და ალტერნატიული ტერიტორიები ერთმანეთის უშუალო სიახლოვეს მდებარეობს, ალტერნატიული ტერიტორიის ზემოაღნიშნული არგუმენტის (მისასვლელი გზების მოწყობით მოსალოდნელი ზემოქმედება) შესაბამისად უარყოფა დამატებით განმარტებასა და საფუძვლიან დასაბუთებას საჭიროებს;
  - გარდა ამისა, ანგარიშში აღნიშნულია, რომ საპროექტო ეგზ-ის ალტერნატივაზე უარი ითქვა, ვინაიდან ეგზ-ის ალტერნატიული დერეფანი გადაკვეთს და ხვდება სხვადასხვა ტიპის ხაზოვანი ნაგებობების დაცვის ზონაში, ასევე კვეთს მშრალ ხევს – მდ. აგბურუნს (კერძოდ, N8 საყრდენი მდინარის კალაპოტიდან დაშორებულია დაახლოებით 5 მ-ით). ვინაიდან, შერჩეული საპროექტო ეგზ-ის

ტრასა ასევე კვეთს სხვადასხვა ტიპის ხაზოვან ნაგებობებს, ეგზ-ის განთავსების ალტერნატიული ვარიანტების ანალიზი საფუძვლიან დასაბუთებას საჭიროებს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გზშ-ის ანგარიშის შესაბამის ქვეთავში დეტალურად უნდა იქნეს წარმოდგენილი დაგეგმილი საქმიანობის შერჩეული ადგილმდებარეობის გარემოსდაცვითი, სოციალური, ეკონომიკური და ტექნიკური უპირატესობების არგუმენტირებული დასაბუთება;

- წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია საქართველოს მთავრობის 2021 წლის 09 ივნისის N274 დადგენილებით დამტკიცებული „ცხოველების ჯილხთან ბრძოლის პროფილაქტიკური საკარანტინო წესით“ განსაზღვრული მოთხოვნების დაცვის შესახებ;
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისთვის გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იქნეს სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული მოთხოვნა.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით (გვერდებისა და (ქვე)თავების მითითებით).

#### დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, შპს „იტეკ მარნეული 100 მვტ“-ის მიერ წარმოდგენილ პროექტზე, რომელიც ეხება მარნეულის მუნიციპალიტეტში 220 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის და 220/35 კვ ძაბვის ქვესადგურის მშენებლობასა და ექსპლუატაციას, სავალდებულოა გზშ-ის ანგარიში მომზადდეს წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი, შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზშ-ის ანგარიში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობის და სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული მითითებების სრული დაცვით.